ხელშეკრულება № 117 (კრი- 20)
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 14.12. 2015 წელი.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 101 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის N637 განკარგულებისა და შემსყიდველის მიერ გამარტივებული შესყიდვის პროცედურის საფუძველზე, ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე: ერთის მხრივ, **სსიპ „სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტო**, შემდგომში „შემსყიდველი“, მისამართი: 380038, საქართველო, ქ. თბილისი, 9 აპრილის ქ.2. სახელმწიფო ხაზინა სსიპ „სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტოსთვის“ – 4003 ხაზინის ერთიანი ანგარიში GE24NB0330100200165022 ბანკის კოდი – TRESGE22 მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი – 7 0771 7121 წარმოდგენილი - **სააგენტოს უფროსის მოადგილის ზაზა ლომიძის** სახით,

და

მეორეს მხრივ, შპს "ნიკო-2008", შემდგომში „მიმწოდებელი“, ს/კ 400030710, მისამართი: თბილისი, ხოშ. და ელიავას მიმდებარე ტერიტორია.მაღ.31 **ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:**

1. ხელშეკრულების გაფორმების საფუძველი

1.1. ხელშეკრულების გაფორმების საფუძველს წარმოადგენს:

- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის N637 განკარგულება;
- სსიპ „სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტოს“ მიერ 2015 წლის 05 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულება.

2. ხელშეკრულების საგანი

1.2. წინამდებარე ხელშეკრულებით ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს CPV 44300000 (კაბელები,მავთულები და მათთან დაკავშირებული მასალები); **CPV 42600000** (ჩარხები); CPV 38300000(საზომი ხელსაწყოები); CPV 33100000(სამედიცინო მოწყობილობები) კოდით განსაზღვრული საქონლის შესყიდვა, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, წინამდებარე პირობების შესაბამისად.

3. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება

2.1 მისაწოდებელი საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს ***354.00*** ლარს (სამას ორმოცდათოთხმეტი ლარი და 00 თეთრი) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

დეტალური გაანგარიშება მოცემულია ცხრილში:

	CPV	დასახელება	საქ.ზომის ერთ.	რ–ბა	ერთეულის ფასი	თანხა
1	2	3	4	5	6	7
1	44312400	პლასტმასისი ხამუთი 4.8*350	ცალი	30	7.00	210.00
2	42674000	რკინის საჭრელი დისკი 115*1,6*22,23 მმ	ცალი	20	3.00	60.00
3	33141000	რესოირატორი	ცალი	7	10.00	70.00
4	38330100	საზომი რულეტი 5მ ST21851	ცალი	2	7.00	14.00
						სულ:354.00

4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1 საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. გარანტია

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ საქონელი (გაწეული მომსახურება) იქნება ხარისხიანი და არ გამოავლენს ხარვეზებს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება. გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში საქონელი შეცვალოს ახლით.
4.2 გარანტიის მოქმედების ვადად განისაზღვრება: მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 წელი.

6. ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.
5.2 ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი „მიღება ჩაბარების“ აქტის გაფორმებიდან 5 საბანკო დღის განმავლობაში.
5.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. უნღდო ანგარიშსწორებისას გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია მოახდინოს ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება (მომსახურება), ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 კალენდარულ დღეში. იგი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის (გაწეული მომსახურების) ხარისხსა და ვარგისიანობაზე (დროულობაზე).
6.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას შესყიდული საქონლის (გაწეული მომსახურების) ღირებულება.
6.3 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.
6.4 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.
6.5 მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია, წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
7.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
7.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება, უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.უფლებების გადაცემა

8.1 მიმწოდებელს არ აქვს უფლება, შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე, მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

10.ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

10.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ წერილობითი შეტყობინების შემდეგ, იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი მომსახურება ან მისი ნაწილი;
10.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
10.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო თავად იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
10.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

ინსპექტირება ხელშეკრულების შესრულებაზე

11.1 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის მხრიდან ინსპექტირების ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: გ. კოხრეიძე (ჯგუფის უფროსი); ზ. ბარბაქაძე (წევრი); ა. ბახტაძე (წევრი); კ. ქართველიშვილი (წევრი); გ. წიქარიშვილი (წევრი).
11.2. ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:
11.2.1. შესყიდვის სპეციფიკიდან გამომდინარე განახორციელოს კონტროლი მიწოდებული საქონლის (მომსახურების) და/ან მისი ნაწილის ხარისხზე და შემოწმების აქტის საფუძველზე დაადგინოს შეესაბამება თუ არა მიწოდებული მომსახურება ხელშეკრულების მოთხოვნებს.
11.2.2. მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების მიღება.
11.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი ინსპექტირების მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მათ შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
11.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით, შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 19 იანვრის ჩათვლით.

ხელშეკრულება შესრულებული და ხელმოწერილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა მიმწოდებელს, ორი შემსყიდველს

მხარეთა ხელმოწერები

"შემსყიდველი"
საგენტოს უფროსის მოადგილე
_____ ზ. ღომიძე

"მიმწოდებელი"
შპს „ნიკო-2008“
_____
(ბ.ა)

აქტი

შესრულებული სამუშაოს (შესყიდვის) მიღება – ჩაბარების შესახებ

ქ. თბილისი 14 .12 2015 წ.

სსიპ „სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტო“ (შემდგომში – „შემსყიდველი”)
და
შპს „ნიკო-2008“ (შემდგომში – „მიმწოდებელი“) ვადგენთ აღნიშნულ აქტს შემდეგზე:

1. „მიმწოდებელმა“ გადასცა ხოლო „შემსყიდველმა“ მიიღო 354.***00 ლარი (სამასორმოცდათოთხმეტი და 00)*** ლარის ღირებულების შემდეგი საქონელი:

	CPV	**დასახელება**	**რ–ბა**	**ერთეულის ფასი**	**თანხა**
1	44312400	პლასტმასისი ხამუთი 4.8*350	ცალი 30	7.00	210.00
2	42674000	რკინის საჭრელი დისკი 115*1,6*22,23 მმ	ცალი 20	3.00	60.00
3	33141000	რესორატორი	ცალი 7	10.00	70.00
4	38330100	საზომი რულეტი 5მ ST21851	ცალი 2	7.00	14.00
					სულ:354.00

და აიღო ვალდებულება „მიმწოდებელს“ უნაღდო ანგარიშსწორების წესით გადაუხადოს მიწოდებული საქონლის ღირებულება ეროვნულ ვალუტაში, წინამდებარე აქტის ხელმოწერიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის განმავლობაში.

2. მიწოდებული საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს ***354.00 (სამას ორმოცდათოთხმეტი და 00)*** ლარს.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ “სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტო”. მისამართი: 380038, საქართველო, ქ. თბილისი 9 აპრილის ქ. 2 სახელმწიფო ხაზინა სსიპ „სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტოსთვის“ – 4003 ხაზინის ერთიანი ანგარიში GE24NB0330100200165022 ბანკის კოდი – TRESGE22 მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი – 7 0771 7121 სააგენტოს უფროსის მოადგილე _____ ზ. ლომძრიე (ბ.ა.)	შპს ნიკო-2008“ ს/კ 400030710 მისამართი: თბილისი ხოშ. და ელიავას მიმდ. ტერიტორია.მაღაზია 31 (ბ.ა.)

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

14.12. 2015 წელი

ქვემოთ ხელმომწერები ვადასტურებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელთან (შპს „ნიკო-2008“ CPV კოდი: 33100000: CPV 38300000 ; CPV 44300000 : CPV 42600000:) ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით და ამავდროულად ვიზირებას ვაძლევთ ამ ხელშეკრულებას.

სატენდერო კომისია:

1. ზ.ლომიძე
2. მ. სამნიაშვილი
3. დ.ჯანელიძე
4 ნ.ფეიქრიშვილი

ხელშეკრულების დადებაზე უფლებამოსილი პირი ზაზა ლომიძე